



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-558

02/07/2020

ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ სგმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

ძირითადი ინფორმაცია

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმები;

დამგეგმავი ორგანო: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.

2020 წლის 22 მაისს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სკოპინგის განცხადება და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია, თანდართული დოკუმენტაცია და სკოპინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, 2020 წლის 28 მაისს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25659>) და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს საინფორმაციო დაფასა და მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული <https://bit.ly/2BxUXmV>).

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას როგორც დამგეგმავი და სგშ სკოპინგის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე. დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია, მომზადების საფუძველი და მიზნები, განხორციელების არეალი და მის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმები, მათ შორის დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის გეგმარებითი დოკუმენტები შედგენილია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი სკოპინგის განცხადების თანახმად, მუნიციპალიტეტში ხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმის, ასევე დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის შემუშავება. საპროექტო არეალის

საერთო ფართობი შეადგენს 106635.98 ჰა-ს, საიდანაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ფართობია 636 ჰა.

სკოპინგის განცხადების შესაბამისად, სგშ-ს დაქვემდებარებული არეალი ემთხვევა გეგმარებითს, თუმცა გეოგრაფიული არეალის საზღვრები შესაძლებელია დაკორექტირდეს სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე, სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის შემდგომ დეტალიზაციასთან ერთად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რუსეთთან დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა ს-3 (E-117), რომლის საერთო სიგრძეა 139 კმ.

დოკუმენტში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების კონცეფცია და ალტერნატიული გადაწყვეტილებების თავში არსებულ ცხრილში) წარმოდგენილია ყაზბეგში არსებული თემებისა და მათში შემავალი სოფლების ჩამონათვალი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის რუკა.

დოკუმენტის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმებზე მუშაობისას, სივრცის დაგეგმარების სისტემის იერარქიულად დაქვემდებარებული დოკუმენტის, დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება გეგმების იერარქიული თავსებადობა.

მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმის შემუშავების შემდგომი დეტალები ასევე განისაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მომზადებული ტექნიკური დავალებით, რომლის თანახმადაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების მიზნებია:

- მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარება, ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების ჰარმონიზება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური და კულტურული მახასიათებლების შენარჩუნებით;
- მდგრადი განვითარების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი და თვითმმართველობის ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენების და განვითარების საკითხებში;
- ჯანსაღი, უსაფრთხო და მოხერხებული ტურისტულ-სარეკრეაციო გარემო პირობების შექმნა;
- მუნიციპალიტეტის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და მიგრაციის პროცესის შესაჩერებლად დაცლილი სოფლების აღდგენა;
- ყაზბეგის ეროვნული პარკის ჰარმონიული განვითარება;
- ტრადიციული სოფლის მეურნეობის განვითარების ინტეგრირება მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში;

- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის (მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი) პერსპექტიული განვითარების ინტეგრირება დოკუმენტაციაში;
- მუნიციპალიტეტისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების შეფასება;
- ტერიტორიების და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა;
- მიწათსარგებლობის ზონებისა და ქვეზონების დადგენა (მათ შორის, სასპორტო ინფრასტრუქტურის შეფასება და მათი განვითარების და პრიორიტეტების დადგენა);
- ტერიტორიების მიწათსარგებლობის და განაშენიანების პარამეტრების განსაზღვრა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის ხედვა წარმოდგენილია შემდეგი სივრცით-ფუნქციური ელემენტებით:

- ბუნებრივი ლანდშაფტი;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია;
- დასახლებული ტერიტორია (განაშენიანებული/ურბანიზებული);
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაცული ტერიტორიების ერთიანი სისტემის არეალი;
- კულტურული ლანდშაფტის მკაცრი დაცვის (გერგეტი-სამებისა, სნოსა და თრუსოს) ზონა - სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე;
- სახელმწიფო სასაზღვრო ზონა და ზოლი;
- მდინარის წყალდაცვითი ზოლი.

სივრცითი დაგეგმარების გეგმის სტრუქტურის ელემენტები დეტალურადაა დახასიათებული და ასევე წარმოდგენილია როგორც რუკების, ასევე ცხრილის სახით.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის“ კონცეფციის თანახმად, გეგმა გათვალისწინებულია თხუთმეტწლიანი პერიოდისთვის. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაში შემოთავაზებულია სივრცითი განვითარების სამი ალტერნატივა, ალტერნატივებს ასევე გააჩნია სტრატეგიული მიზანები და ამოცანები, რომელთა მიღწევაც იგეგმება 2034 წლამდე.

1. რამდენიმე მრავალფუნქციური მუნიციპალური ინფრასტრუქტურული და სამეწარმეო კვანძის ჩამოყალიბება (სტეფანწმინდის ცენტრი, ლარსი, თრუსო, ლუდას კლასტერები) და ყველა სხვა მცირე დასახლების რევიტალიზაცია (კარგად მართული; ტურისტულ-სარეკრეაციო; ექსკლუზიური; კულტურული; საქართველოს და ეროვნული პარკის კარიბჭის; ეკო, აგრო, საწარმოო, შიდა და სასაზღვრო სოფლის ფუნქციების შეთავსებით და ინტეგრირებით), მათ შორის ნასოფლარების გაცოცხლება. ალტერნატივის სტრატეგიული მიზნებია:
 - დაცული უნიკალური ბუნებრივი და ეთნო-კულტურული გარემოს შექმნა;
 - მდგრადი და დივერსიფიცირებული მკაფიო ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება;

- მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტულ-სპორტულ-სარეკრეაციო კვანძის განვითარება;
 - ინტეგრირებულად მართული ძლიერი მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება;
 - მუნიციპალიტეტი გეოპოლიტიკურად მდგრადი და დაცული სახელმწიფო საზღვრით.
2. **მზარდი მოთხოვნებისა და გამოწვევების დაკმაყოფილება, არსებული ვითარების კონსერვაციისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების გზით.**
 ალტერნატივის სტრატეგიული მიზნებია:
- დაცული უნიკალური ბუნებრივი და ეთნო-კულტურული გარემოს შექმნა;
 - მუნიციპალიტეტი გეოპოლიტიკურად მდგრადი და დაცული სახელმწიფო საზღვრით.
3. **დღეს არსებული მდგომარეობა რთული სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი პირობებით, ქაოტური ინფრასტრუქტურით, შეზღუდული სივრცითი კატეგორიებით და ზონირებით, გეოსაფრთხეებით, ტურიზმის ინტენსიფიკაციით და ა.შ.**
 (აღნიშნული გულისხმობს ნულოვან ალტერნატივას და შესაბამისად, სტრატეგიული მიზნები განსაზღვრული არ არის)

დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფციაში განხილულია ოთხი ალტერნატივა:

1. **საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მდინარე თერგის მეორე მხარეს გადატანა. ცენტრალური ნაწილის ჩამოყალიბება სავაჭრო, კულტურული თუ სარეკრეაციო ფუნქციებით.** დაბის სამხრეთ შესასვლელიდან ცენტრამდე მოეწყობა ბულვარი, ველო-ბილიკი, ორივე მიმართულებით თითო ზოლით შიდა საავტომობილო მოძრაობისთვის. ცენტრალური მოედნიდან მერიამდე მოეწყობა ფეხით სასიარულო ზონა და დასახლების ცენტრი, თერგის ფერდზე გადაკიდებული გადასახედით და გერგეტში გადასასვლელი ხიდით ფეხით მოსიარულეებისთვის, ხოლო გამწვანებული ურბანული სივრცე გაგრძელდება ყუროსხევამდე. სტეფანწმინდის ისტორიული ცენტრი იქცევა მიზიდულობის კერად. დაბის სამხრეთ არეალი გათვალისწინებულია კემპინგის ზონისთვის. სამხრეთ შესასვლელთან დამატებით გათვალისწინებულია **საპროექტო სარკინიგზო სადგური**, ავტოსადგომი, და ავტოგასამართი სადგური. **აღმოსავლეთით შემოთავაზებულია საბაგრო გზის სადგური, რომელიც სტეფანწმინდას აკავშირებს ყუროს მთასთან (3700-მდე მეტრის სიმაღლეზე) და გამიზნულია როგორც ტურისტული ატრაქცია.** ამ არეალში შენობები იზღუდება მანსარდით და სამი სართულით, სტეფანწმინდის ძირითადი განაშენიანების დაბალი ინტენსივობის ზონაში 2 სართულით, ხოლო ზედა საშუალო ინტენსივობის ზონაში მანსარდით და 4 სართულით. აღსანიშნავია, რომ ამ ალტერნატივაში დაბის სამხრეთ ნაწილში, ამჟამად აუთვისებელ ტერიტორიებზე განსაზღვრულია დაბალი და საშუალო ინტენსივობის განაშენიანების განვითარება. თერგის მარცხენა ნაპირზე მოიაზრება საკურორტო-სარეკრეაციო ზონა, სპა და სპორტული ობიექტები. გერგეტი

ზონირებულია, როგორც სასოფლო-სამოსახლო ზონა, თუმცადა, არსებულ ობიექტებთან ერთად, ატრაქციის სახით დაგეგმილია მიწისქვეშა ფუნქციონირის ქვედა სადგური, რომელიც დაბას დააკავშირებს სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასთან. სოფელ აჩხოტის სიახლოვეს გამოყოფილია ტერიტორია ლოგისტიკური ჰაბისთვის. საავტომობილო მაგისტრალისთვის, კონცეფციაში წარმოდგენილია ორი სავარაუდო ალტერნატივა (თერგის მარცხენა ან მარჯვენა მხარეს);

2. მეორე ალტერნატივა არ ითვალისწინებს სარეზერვო საცხოვრებელი და სასტუმროს არეალების ათვისებას და ბულვარის გასწვრივ კომერციული ზონის დაგრძელებას. ამ შემთხვევაში არსებული განაშენიანების ფარგლებს გარეთ გასვლა არ ხდება და განვითარება მთლიანად იქნება ფოკუსირებული მიწის შიდა რესურსების გონივრულ ზღვრამდე გამჭიდროებასა და ათვისებაზე, ანუ ურბანული ზრდა იქნება ინტენსიური (შიდა) და არა ექსტენსიური (გარე). არ არის გათვალისწინებული გერგეტი-სამების მიწისქვეშა ფუნქციონირი;
3. მესამე ალტერნატივა მეორეს მსგავსია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ვარიანტში არ ხდება დაბის შემოვლითი საავტომობილო გზის მდინარე თერგის მეორე მხარეს გადატანა. რუსეთის ფედერაციის საზღვართან დამაკავშირებელი გზა რჩება არსებული მდგომარეობით და სატრანზიტო მოძრაობა კვლავ სტეფანწმინდის დასახლებულ ცენტრალურ ნაწილზე გადის;
4. ნულოვანი ალტერნატივა.

რაც შეეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაში ცალკეული და თითოეული დასახლებული პუნქტი გაანალიზდა დარგობრივად, კომპლექსურად და თითოეულზე ჩამოყალიბდა მისი განვითარების ხედვა, რაც საფუძვლად დაედება თითოეული დასახლების გენგეგმის კონცეფციის დამუშავებას, კერძოდ კი თითოეული სოფლისთვის მიწათსარგებლობის ზოგადი ზონების კონცეფციათა დონეზე.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის“ დოკუმენტში აღწერილ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების განვითარების გეგმაში მათ პირობითად მიენიჭა შემდეგი სტატუსები: **კარგად მართული სოფელი/დაბა** - დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისები; **ტურისტულ-სარეკრეაციო ფუნქცია** - ბუნებრივი, კულტურული, ისტორიული ან/და თანამედროვე ტურისტულად მიმზიდველი ადგილი, სადაც მოწყობილია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა; **ექსკლუზიურობა** - ფუნქცია და მახასიათებელი, რომელიც ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვნად და განსაკუთრებით გამოარჩევს დასახლებას სხვა დანარჩენი დასახლებებისაგან; **ეკო-სოფელი** - „მწვანე“, ემისიებისაგან თავისუფალი, თვითმყოფადი, ადამიანის ჯანმრთელი განვითარებისა და ბუნებრივი გარემოს რეგენერაციისკენ მიზანმიმართული სოფელი, რომელშიც ადგილობრივი თანამონაწილეობის პროცესების გამოყენებით წარმატებით ხორციელდება ინოვაციური, მდგრადი განვითარების

პრინციპების დაცვა სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგენელების გათვალისწინებით და ამავდროულად არის ტექნოლოგიურად მოწყობილი, ეკონომიკურად გამართლებული და კომერციულად სასარგებლო; **ისტორიულ-კულტურული სოფელი** - წარსულში (და შესაძლებლობების ფარგლებში აწმყოშიც) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მქონე ობიექტების და ტრადიციების მქონე სოფელი; **აგრო-სოფელი** - სოფელი, რომლის ტერიტორიის 50%-ზე მეტი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით; **ეროვნული პარკის კარიბჭე** - სოფელი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული პარკის დადგენილ შესასვლელს და საიდანაც ხდება ვიზიტორთა ნაკადების მართვა; **საწარმო სოფელი** - მსხვილი ინდუსტრიული დანიშნულების სოფელი ან/და ტერიტორიები, სადაც არსებობს გარემოსთან შესაბამისად ინტეგრირებული ინფრასტრუქტურული და სხვა სამრეწველო ობიექტები; **სასაზღვრო სოფელი** - საზღვრისპირა სოფელი, სადაც განთავსებულია სასაზღვრო პუნქტი ან/და მდებარეობს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ზონაში/ზოლში; **შიდა მუნიციპალური/ინფრასტრუქტურული/სამრეწველო ცენტრი/კვანძი** - **მუნიციპალური ცენტრი** (პოლიცენტრი), სადაც თავმოყრილია მსხვილი (ზოგ შემთხვევაში ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) სოციალური, ტურისტული, ეკონომიკური, სატრანსპორტო და სხვ. მუნიციპალური მნიშვნელობის ატრიბუტები და ფუნქციები. შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის და სოფლის განვითარების სამომავლო ხედვა ასევე წარმოდგენილია ცხრილის სახით.

სკოპინგის განცხადებაში იდენტიფიცირებული და აღწერილია რიგი სტრატეგიული დოკუმენტები, მათ შორის, უკვე დამტკიცებული სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, რომელთან მიმართების დეტალურად განხილვა და აღწერა დაგეგმილია სგშ-ის ანგარიშის მომზადების პერიოდში.

სკოპინგის განცხადებით წარმოდგენილ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის“ დოკუმენტში საბაზისო მონაცემთა მატრიცაში მიმოხილულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გარემოს კომპონენტების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

დოკუმენტის თანახმად, ყაზბეგის მხარისთვის დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო ჰავა, მშრალი, ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. ყურადღება გამახვილებულია ბუნებრივი ფასეულობების აღწერილობაზე, რაც უდიდესი მნიშვნელობის მქონეა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლევების შედეგად გამოყოფილია ბუნებრივი ფასეულობებით მნიშვნელოვანი არეალები, მათ შორის, მაღალი საკონსერვაციო მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დაბა სტეფანწმინდის განვითარების შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა. კერძოდ, განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ცვლილება მიწათდაფარულობასა და მიწათსარგებლობაში, ბიომრავალფეროვნება, ვიზუალური ზემოქმედება და ლანდშაფტის ცვლილება, ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ

ფენაზე ზემოქმედება, წყლის რესურსებზე მოთხოვნის ზრდა, ჩამდინარე წყლების წარმოქმნა და მათი მართვის საჭიროება, ენერგომომხმარების ზრდა, ხმაური, ბუნებრივი საფრთხეების რისკის ზრდა. ამასთან, დოკუმენტში აღწერილია საპროექტო არეალში მდებარე დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის უბნების შესახებ ინფორმაცია.

დოკუმენტის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰაერის დაბინძურება ნაკლებად პრობლემურია, თუმცა არსებული ავტომანქანების მისი დაბინძურების, ასევე ხმაურის ძირითადი და გამოკვეთილი წყაროა. ასევე აღნიშნულია, რომ რიგ ადგილებში წყლის ობიექტები სხვადასხვა (საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვ.) ნარჩენებით მეტნაკლებად არის დაბინძურებული (მაგალითად, მდინარე ბიდარას ხეობა ტრავერტინის ბუნებრივ ძეგლთან, მდ. თერგზე სოფელ ყანობის ძველი და ახალი (მშენებარე) ხიდების მიდამოებში, სოფ. ფანშეტის TIR პარკთან, დაბა ყაზბეგთან, ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტთან; მდ. სნოს ხეობაში სოფ. ჯუთასთან).

დოკუმენტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვა ორგანიზებულად ხდება. სოფლების უმეტესობაში მოწყობილია ურნები, თუმცა არის შემთხვევები ნარჩენების გარემოში მოხვედრის, რაც წყლისა და ნიადაგის დაბინძურების წყარო ხდება.

აღნიშნულია, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში და ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვროს სხვადასხვა დაგეგმარების თავისებურებები. ტექსტში ასევე მოცემულია ბოლო წლების მანძილზე საკვლევ არეალში დაფიქსირებული გეოდინამიკური პროცესების აქტიური გამოვლენების უბნების სია საფრთხის დონის განსაზღვრით.

ასევე აღნიშნულია, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შედის 255 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი და ობიექტი - 92 ძეგლი და 163 ობიექტი, მათ შორის 13 ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი.

სკოპინგის განცხადებაში ცალკე თავი ეთმობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მეთოდოლოგიურ ასპექტებს. მიმოხილულია როგორც ალტერნატივების განხილვის მეთოდები, ასევე, საბაზისო კვლევები, ზემოქმედების შეფასება და საორიენტაციო ღონისძიებები.

სკოპინგის განცხადების თანახმად, ალტერნატივების განხილვა მოხდება სამ დონეზე - სტრატეგიული ალტერნატივები, გეგმარების ალტერნატივები და კონკრეტული დარგებისა და საქმიანობების ალტერნატივები. სგმ-ს ანგარიშში, სტრატეგიულ დონეზე (გარემოს ხარისხი, ჯანმრთელობის დაცვა, ტურისტული მიმზიდველობა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მნიშვნელობა, გეოსაფრთხეები, ცხოვრების დონე, განაშენიანების სიმჭიდროვე, საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სხვა შესაძლო დარგობრივი ინდიკატორები), თითოეული განხილული ალტერნატივის სხვადასხვა გარემოსდაცვით პარამეტრებზე ზემოქმედების ხარისხობრივი ანალიზი

განხორციელება დოკუმენტში მოყვანილი ცხრილებისა და მატრიცების ფორმატის მიხედვით.

გეგმარებითი ალტერნატივების განხილვა დაგეგმილია ორ დონეზე - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციისთვის და დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფციისთვის. ამასთან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაში განხილული იქნება სივრცითი განვითარების სამი ალტერნატივა, მათ შორის, ნულოვანი ალტერნატივა, ხოლო დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფციაში სივრცითი განვითარების ოთხი ალტერნატივა იქნება შემოთავაზებული, ნულოვანი ალტერნატივის გათვალისწინებით.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაში განსაზღვრულია სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის გეგმარებითი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი თითოეული თემისა და მასში შემავალი დასახლებისთვის.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგადი და კონკრეტული კვლევების თაობაზე, რომელთა განხორციელება იგეგმება სგშ-ის მომზადების პროცესში. ამასთან, დაგეგმილია მონაცემების მოძიება ბიომრავალფეროვნების, ფლორის, ფაუნის, ნიადაგების, წყლის, კლიმატური ფაქტორების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის, ლანდშაფტის, მოსახლეობის, ადამიანის ჯანმრთელობის და გეოსაფრთხეების შესახებ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე ან/და სკოპინგის განცხადებაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია;

3. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
4. სგშ-ის ანგარიშში უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;
5. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
6. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიის გეოლოგიური პირობების შესახებ, სადაც მოცემული იქნება გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, ასევე გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი და ქვათაცვენა), ჰიდროლოგიური (წყალდიდობა-წყალმოვარდნა) და ჰიდრომეტეოროლოგიური (თოვლის ზვავი) საფრთხეების ზონირების რუკები ტერიტორიის ფარგლებში. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე მრავალსაფრთხიანი (multihazards) რუკების მეშვეობით;
7. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საშიში გეოლოგიური და ანთროპოგენური პროცესებისგან, როგორცაა მეწყერები, ნაპირების წარეცხვა, წყალმოვარდნა/დატბორვა, ღვარცოფი, დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია;
8. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის განვითარების პირველი და მეორე ალტერნატივებში მითითებული მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე გადატანასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას, აღნიშნული ცვლილების დასაბუთებას და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების აღწერას და პოტენციურ საფრთხეებს, შესაბამისი SHP ფაილებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის მოდელირება დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის;
9. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის განვითარების ალტერნატივებში მითითებული სარკინიგზო სადგურის, მიწისქვეშა ფუნქციონირებისა მოწყობის, ასევე საბაგრო გზის დერეფნისა და საბაგრო გზის სადგურის მოწყობის თაობაზე დეტალურ ინფორმაციას, აღნიშნული პროექტების საჭიროების დასაბუთებას, გარემოზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედებასა და პოტენციურ საფრთხეებს, შესაბამისი SHP ფაილებით;
10. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი სპეციალისტების მიერ ჩატარებული რისკების შეფასებას - საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის გავრცელების არეალში, საბაგროს მშენებლობის შედეგად ჯიხვის პოპულაციის შემცირების ან ტერიტორიიდან მიგრაციის თაობაზე;
11. სგშ-ის ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს შვეულმფრენით მოთხილამურეების მომსახურების/ჰელისკის მოსალოდნელი ზემოქმედება გარეულ ცხოველებზე და

ფრინველების ბუდეებზე და ადგილსამყოფელებზე, ასევე უნიკალური მცენარეების ჰაბიტატებზე;

12. **სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს** საქართველოს „წითელი ნუსხით“, საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სახეობების და ასევე ენდემური სახეობების გავრცელების არეალები, საბინადრო ადგილების ჩათვლით;
13. **სგშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების SHP ფაილები, ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაცია;
14. **სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს** ინფორმაცია წყლის რესურსების თაობაზე (დებიტი, ხარისხი) და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე ტურიზმის განვითარების შედეგად, ზემოქმედების საკითხები;
15. **სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს** ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თაობაზე, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
16. **სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;
17. **სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;
18. **სგშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს** ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განსახორციელებელი საქმიანობების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული არსებული და დაგეგმილი საქმიანობების თაობაზე.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის დანართში წარმოდგენილი მთლიანი 106635.9801 ჰა ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 620,67მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- დოკუმენტის განხორციელების არეალის უმეტესი ნაწილი ემთხვევა ყაზბეგის ეროვნულ პარკს, რომელიც თავის მხრივ ემთხვევა „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად

შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტს (ყაზბეგი - GE0000009). შესაბამისად, აღნიშნული საიტის ფარგლებში კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საჭიროა ჩატარდეს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების ე.წ. „მიზანშეწონილობის“ შეფასება, რათა გამოვლინდეს მოსალოდნელია თუ არა იმ სახეობებზე და ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რომელთა დასაცავადც შეიქმნა მითითებული ზურმუხტის საიტი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორია ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილს (IBA - ყაზბეგი GEO21) და ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA - ხევი SPA9);

- სგშ-ის ანგარიშში ინფორმაცია ყაზბეგის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით უნდა განახლდეს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 27 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად (5.3 დაცული ტერიტორიები, გვ. 17). ამასთან, დაცული ტერიტორიების ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ქეთერისის მინერალური ვოკლუზი და ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლები; ასევე, ყაზბეგის ეროვნული პარკის დაარსების მიზანი საჭიროა შესწორდეს შემდეგი ფორმულირებით „ყაზბეგის ეროვნული პარკი და ბუნების ძეგლები დაარსებულია მაღალმთის ეკოსისტემების: სუბალპური ტყეების და ბუჩქნარების, ალპური მდელოების, სუბნივალური და ნივალური ეკოსისტემების, რელიქტური მთის ტყეების ფრაგმენტების, უნიკალური გეოლოგიური ობიექტების, ასევე ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების დაცვის, მოვლის და პატრონობის მიზნით“;
- წარმოდგენილ დოკუმენტში ინფორმაცია კავკასიის ენდემურ ჯიხვთან დაკავშირებით საჭიროებს შესწორებას, კერძოდ ტექსტში მითითებული არჩვის ნაცვლად უნდა მიეთითოს აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების საპროექტო ტერიტორია, სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციით, მოიცავს მიწისქვეშა სასარგებლო წიაღისეულზე (მტკნარი, მინერალური, ნახშირორჟანგა აირი) გაცემულ ლიცენზიებს (№1004775, №1001555, №1003054, №10000756, №1001556, №10000877, №0651, №1004407) და მათ სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. ასევე, ფანშეთის და ყანობის მინერალური წყლის, აჩხოტის მტკნარი წყლის და კობის დაბალი მინერალიზაციის მიწისქვეშა წყლების კონტურებს. საპროექტო ტერიტორია ასევე მოიცავს კალასანის, რესის, სიონის, ვოკლუზის, ყაზბეგის, დიდი მაიორშას მინერალური წყლების წყაროებს, რომელთა კოორდინატები დასაზუსტებელია. ასევე მოიცავს კობის (ანდეზიტ-ბაზალტი და ანდეზიტ-დაციტი); არშას, საკეცეთის (ანდეზიტი); ვეშათწყაროს, გველეეთის, ჭაუხის (დიაბაზი), ფანშეთის (ტუფობრექჩია), კობის (ქვიშა-ხრეში) საბადოებს; დევდორაკის, ბოგუმის, ხასნათის სპილენძ-პოლიმეტალურ მადანგამოვლინებებს. გარდა ამისა, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ტერიტორიის ფარგლებში შედის სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და გამოვლინებები, რომელთა კოორდინატები დასაზუსტებელია;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებით დამტკიცებულია ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან;
- სგშ-ის ანგარიშში, შერჩეული გეგმარებითი ალტერნატივების განხორციელებისთვის საჭირო ქმედებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების სათანადო აღწერა/შეფასების შესახებ;
- სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისთვის დადგენილი დასახლებული პუნქტების სიმჭიდროვისა და შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები;
- სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს განახლებული ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს „საქართველოში 2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის“ ბიულეტენის შესაბამისად;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ეტაპზე უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია, იმ სტრატეგიული დოკუმენტების თაობაზე, რომლებიც დამტკიცდება სამინისტროს მიერ სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციების გაცემის შემდგომ და შესაბამისად ჩამოყალიბდეს სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება.

დასკვნითი ნაწილი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სგშ-ის ანგარიშში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.